OPD11/14-085 5 ნოემბერი 2014 წ.

**საქართველოს მთავარ პროკურატურას**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის შემთხვევებზე**:

1. 2012 წლის 20 ოქტომბრიდან დღემდე (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) შემოსული განცხადებების/საჩივრების რაოდენობა;

2. იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებზეც 2012 წლის 20 ოქტომბრიდან დღემდე დაიწყო საგამოძიებო პროცედურები; (ცალ-ცალკე წლების მიხედვით);

3. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის მოქმედი და ყოფილი თანამშრომლების რაოდენობა, რომლებზეც აღნიშნულ შემთხვევებზე 2012 წლის 20 ოქტომბრიდან დღემდე დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა; (ცალ-ცალკე წლების მიხედვით)

4. იმ პირთა (პატიმართა) რაოდენობა, ვისზეც აღნიშნული საქმეების მიხედვით განხორციელდა წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, აგრეთვე წამების მუქარა;

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი